(2011)

(კენჭისყრა:
მომხრე - 57
წინააღმდეგი – 13
თავი შეიკავა - 74)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **A//65/L.74**

გენერალური ასამბლეა

2011 წლის 27 მაისი

სამოცდამეხუთე სესია

დღის წესრიგის მე-14 პუნქტი

თხოვნაა, გაიგზავნოს ხელმეორედ გადასამუშავებლად

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია

[მთავარ კომიტეტებში გადაგზავნის გარეშე (A/64L.62)]

64/296 აფხაზეთიდან, საქართველო, და ცხინვალის რაიონიდან /სამხრეთი ოსეთი, საქართველო, ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობა

გენერალური ასამბლეა,

ეყრდნობა რა თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას ადგილნაცვალ პირთა დაცვისა და დახმარების შესახებ, თავისი 2007 წლის 18 დეკემბრის 62/153, 2008 წლის 15 მაისის 62/249, 2009 წლის 9 სექტემბრის 63/307, 2009 წლის 18 დეკემბრის 64/162 და 2010 წლის 7 სექტემბრის 64/296 რეზოლუციების ჩათვლით,

ეყრდნობა რა აგრეთვე უშიშროების საბჭოს ყველა შესაბამის რეზოლუციას საქართველოზე შესახებ იმისა, რომ ყველა მხარისათვის აუცილებელია, მიაღწიონ ყოვლისმომცველ მშვიდობას და ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნებას თავიანთი წარმოშობის ადგილებზე და ხაზს უსვამს რა მათი სრული და დროული განხორციელების აუცილებლობას,

აღიარებს რა ხელმძღვანელ პრინციპებს, რომლებიც ეხება პირის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით, როგორც საკვანძოОსაერთაშორისო-სამართლებრივ ბაზას ადგილნაცვალ პირთა დასაცავად,

შეშფოთებულია რა კონფლიქტების შედეგად საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის ძალადობრივი ცვლილების გამო,

აგრეთვე შეშფოთებულია რა ჰუმანიტარული სიტუაციით, რაც გამოწვეულია 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტით, რომელსაც თან მოჰყვა სამოქალაქო მოსახლეობის ახალი იძულებითი გადაადგილება;

აცნობიერებს რა გარდაუვალ საჭიროებას, იპოვნოს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა,

ხაზს უსვამს რა ჟენევაში 2008 წლის დეკემბერში დაწყებული განხილვის მნიშვნელობას და ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობითი, უსაფრთხო, ღირსეული და დაუბრკოლებელი დაბრუნების საკითხის განხილვის გაგრძელებას საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და კონფლიქტების მოწესრიგების პრაქტიკის საფუძველზე;

ცნობად იღებს რა გენერალური მდივნის მოხსენებას 63/3072 რეზოლუციის შესრულების შესახებ,

1. აღიარებს ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის და მათი შთამომავლების, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, დაბრუნების უფლებას სახლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში.

2. ხაზს უსვამს აუცილებლობას, დაცული იქნეს საქართველოში კონფლიქტებისაგან დაზარალებული ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის ქონებრივი უფლებები და თავი შეიკავონ ამ უფლებების დარღვევით საკუთრების შეზენისაგან.

3. ადასტურებს დემოგრაფიული მდგომარეობის ძალადობრივი შეცვლის დაუშვებლობას.

4. ხაზს უსვამს გარდაუვალ აუცილებლობას კონფლიქტებით დაზარალებულ ყველა რაიონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადგილნაცვალი, ლტოლვილი და სხვა პირის დაუბრკოლებელი მისაწვდომობის უზრუნველყოფას ჰუმანიტარული მიზნით.

5. მოუწოდებს ჟენევის განხილვების ყველა მონაწილეს, გააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, შეთანხმდნენ ნდობის განმტკიცების უფრო ეფექტიან ღონისძიებებზე და დაუყოვნებლივ გადადგან ნაბიჯები ადამიანის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად და უსაფრთხოების სფეროში ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ხელს შეუწყობენ ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის ნებაყოფლობით, უსაფრთხო, ღირსეულ და დაუბრკოლებელ დაბრუნებას მისი წარმოშობის ადგილებში;

6. ხაზს უსვამს გრაფიკის შემუშავების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში კონფლიქტისაგან დაზარალებული ყველა ადგილნაცვალი პირისა და ლტოლვილის ნებაყოფლობით, უსაფრთხო, ღირსეულ და დაუბრკოლებელ დაბრუნებას თავიანთ სახლებში.

7. სთხოვს გენერალურ მდივანს, გენერალურ ასამბლეას თავის 65-ე სესიაზე წარუდგინოს ყოვლისმომცველი მოხსენება ამ რეზოლუციის შესრულების შესახებ.

8. ადგენს, თავისი 65-ე სესიის დღის წესრიგის პროექტში ჩართოს პუნქტი სათაურით „გაჭიანურებული კონფლიქტები სუამის სივრცეში და მათი შედეგები საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის“.

(http://www.un.org/depts/dhl/resguide/r65.shtml)